

რუსთავის ისტორიული მუზეუმი

ანგარიში

2020 წელი

2020 წლის მუზეუმში სამუშაო გეგმის შესაბამისად განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. საფონდო განყოფილების მუშაობა

- **იანვრის** თვეში დირექტორის ბრძანებით, საქართველოს კანონის „მუზეუმების შესახებ“ შესაბამისად, საფონდსაცავში დაცული ექპონატების მდგომარეობის და ასაფობდო საქმიანობის კონტროლისათვის შეიქმნა საფონდო კომისია.
- ჩატარდა საფონდო კომისიის სხდომა (ოქმი N1. 2020 წელი. 10 ივლისი).
- ძვირფასი ლითონებისა და ქვების, ნუმიზმატიკური მასალის ინვენტარიზაცია. (მუზეუმის ფონდი გამდიდრდა, ოთხი მონეტით (ი.ხ ოქმი N2. 2020 წლის 15 ივლისი).
- გაგრძელდა თანამედროვე პერიოდის რუსთავის ამსახველი მასალების ინვენტარიზაცია და ბაინდერებში განთავსება.
- დაიწყო მუდმივმოქმედ ექსპოზიციაში გამოფენილი არქეოლოგიური მასალის გაციფრულება.
- გაგრძელდა 2019 წლის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ შემოსული და კამერალურად დამუშავებული მასალების ფოტო და გრაფიკული ფისქაციის ელექტრონულ კატალოში „**რუთაველ**“-ში დარეგისტრირება.
- შეიქმნა „**ნუმიზმატიკის**“ ელექტრონული კატალოგი და მოხდა მისი სრულად გაციფრულება.
- გაგრძელდა დავთრების ციფრულ კატალოგში დარეგისტრირება. სრულად გაციფრულდა **არქეოლოგიური ექსპედიციის საველე წიგნები**.
- მიმდინარე წლის რუსთავის ციხესა და ნაქალაქარზე მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრების შედეგად მუზეუმმა კოლექციის სახით მიიღო, აღრიცხვაზე აიყვანა და რეგისტრაცია გაუკეთა მოპოვებულ მასალას. სულ შემოვიდა 1110 ერთეული. ციხედან 1005, ნაქალაქარიდან 85. აქედან 889 თიხის ნაწარმია, 21 ერთეული სამკაული, რომელთაგან ზოგი შეიცავს რამდენიმე ასთეულ წვრილი მძივის), 4 - მონეტაა, 14- მინის, 15 - ბრინჯაოს, 6-სპილენძის, 30 -ქვის, 39-რკინის ნაკეთობა (ამ უკანასკნელში ერთი ნომრით აღირიცხა მრავლობითი, რამდენიმე ათეული ერთეული ლურსმანისა და სხვ წვრილი ნივთის ფრაგმენტი),
- მუზეუმში შემოვიდა და აღრიცხვაზე ავიდა, მუზეუმის თანამშრომლების მიერ, სოფ. სართიჭალის მიდამოების დაზვერვების შედეგად მოპოვებული არტეფაქტები -6 ერთეული.
- საფონდო განყოფილების თანამშრომლებმა კონსულტაცია გაუწიეს და დაეხმარნენ ჟურნალისტ თომა ჩაგელიშვილს მუზეუმის ფონდებში დაცული მასალის - კოჯორ-

ტაბახმელაში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული საბრძოლო არტეფაქტების გამოყენებით რეპორტაჟის „იუნკერთა ნაკვალევზე“ მომზადებაში.

- კონსულტაცია გაეწია და ფონდში სამუშაოდ დაიშვა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის არქიტექტურის ფალკუტეტის სტუდენტი სოფო სვანიძე, სამაგისტრო ნამუშევრისთვის საფონდო მასალების: ქალაქის განაშენიანების, საბავშვო რკინიგზის და სხვა სამშენებლო პროექტების გაცნობის მიზნით.
- სისტემატიურად ვაკონტროლებდით ფონდსაცავში ვითარების კონტროლს და ვუზრუნველყოფდით ფონდის დასუფთავებას.

საანგარიშო წელს სულ მუზეუმის ფონდები გამდიდრდა 1110 ერთეულით, აქედან უახლოესი პერიოდის განყოფილებაში შევიდა 2 ფერწერული ტილო, არქეოლოგიურში - 1108 არტეფაქტი.

არქივი და ბიბლიოთეკა

- ბიბლიოთეკის ფონდი შეივსო და აღრიცხვაზე ავიდა ახლადშემძენილი და მეგობარი მეცნიერებისაგან შემოწირული სამეცნიერო ლიტერატურა (31 ერთეული).
- დამუშავდა 150 ერთეული საარქივო დოკუმენტაცია.
- მუზეუმის ფეისბუქის გვერდის ადმინისტრატორს მუდმივად მიეწოდებოდა საარქივო მასალები მუზეუმის პოპულარიზაციის უზრუნველსაყოფად.
- ჩატარდა წიგნადი ფონდის გეგმიური ინვენტარიზაცია.
- მუზეუმის თანამშრომლებსა და დაინტერესებულ პირებს გაეწიათ დახმარება საარქივო მასალებით.
- ბიბლიოთეკა სისტემატიურად ემსახურებოდა მუზეუმის თანამშრომლებისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით დაინტერესებული პირების.

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში მუზეუმის სამეცნიერო განყოფილება სამეცნიერო - კვლევით სამუშაოები განახორციელა შემდეგი მიმართულებით:

1. 20 თებერვალს მუზეუმის დირექტორი ნაზი პაჭიკაშვილმა ქვემო ქართლის სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე წარადგინა მოხსენება „ქალაქ რუსთავის ტურისტული პოტენციალი“.

2. მარტში მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ მოაწყო გასვლითი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია რუსთავის შემოგარენში, დაიზვერა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლები სოფ. სართიჭალის მიდამოებში.

3. თებერვალში მომზადდა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს კრებულში დასაბეჭდა წარადგინა სტატია „რუსთავის ციხე-სიმაგრეზე 2019 წელს ჩატარებული სამუშაოების ანგარიში“ (იბეჭდება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს კრებულში).

4. მარტში მოამზადა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს გადაეცა საარქივო მასალები რუსთავის ციხე-სიმაგრის ჩრდილო-აღმოსავლეთი ზღუდისა და ადრეული შუასაუკუნეების აბანოს რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტისათვის.

5. მარტ-მაისის თვეში დასრულდა “კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ შესყიდული და სამეცნიერო საბჭოზე დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, „რუსთავის ციხე-სიმაგრის აღმოსავლეთ ზღუდეებისა რესტავრაცია -კონსერვაცია. ციხის რესტავრაცია-რეაბილიტაციის სამუშაოების შესრულდა, ქართუ ფონდის დაფინანსებით (99 800 ლარი) საამშენებლო-სარესტავრაციო კომპანია შპს. „ბანას“ მიერ.

7. სექტემბერში მუზეუმის მიერ წარდგენილი მასალების საფუძველზე საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტომ მომზადა რუსთავის ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ზღუდისა და ადრეული შუასაუკუნეების აბანოს კონსერვაცია-რეაბილიტაციის პროექტი, სამუშაოები უნდა დაწყებულიყო შემოდგომაზე, თუმცა გარკვეული მიზეზებით გადაიდო 2021 წლის თებერვალ-მარტისთვის.

8. 2020 წელს რუსთავის ციხე-სიმაგრეზე მიმდინარე სარესტავრაციო სარეაბილიტაციო სამუშაოებს მეთვალყურეობას უწევს მუზეუმი.

10. საქართველოს სახელწიფო მუზეუმის პალეობოტანიკის განყოფილებასათან თანამშრომლმა მათა ჭიჭინაძემ მუზეუმის თხოვნით შეისწავლა რუსთავის ციხე-სიმაგრეზე შესწავლილი შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის (XVII-XVI სს.) ქვყარილიანი ორმოსამარხში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლები შიგთავსი: ქოთნებში **აღმოჩნდა**

11. მუზეუმის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წლის განმავლობაში არქეოლოგიური კვლევა ძიებითი სამუშაოები ჩაატარა რუსთავის ნაქალაქარს და ციხე-ქალაქის კომპლექსის ტერიტორიაზე.

- 10 მარტიდან 1 ივლისამდე არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩაატარა რუსთავის ციხე-სიამგრის ჩრდილო დასავლეთის სექტორში და რესტავრაციისთვის მოამზადა ზღუდის ჩრდ-დასავლეთი მონაკვეთი.
- 10 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე გადარჩენითი არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოვა ნაქალაქარზე, წმ. ნინოს მიმდებარე ტერიტორიაზე მოქალაქე გულიზარ აბულაძის კერძო ნაკვეთში, სადაც შეისწავლა სახლის მშენებლობის დროს დაზიანებული ძველი ქალაქის ერთ-ერთი საცხოვრებელი უბანი უბანი და შუასაუკუნეების სამაროვანი.
- 15 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე არქეოლოგიური კვლევითი სამუშაოები ჩაატარა რუსთავის ციხე-სიამგრის ჩრდილო-დასავლეთ უბანზე და რესტავრაციისათვის მოამზადა ციხის ჩრდ.-დასავლეთი მონაკვეთი და ადრეული შუასაუკუნეების აბანო.

12. 18 დეკემბერს მუზეუმმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს III არქეოლოგიურ საანგარიშო სესიაში, სადაც რუსთავში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების თაობაზე ანგარიში წარადგინა მუზეუმის დირექტორმა ნ. პაჭიკაშვილმა.

13. წლის განმავლობაში მუზეუმის თანამშრომლების მიერ მიმდინარეობდა სტატიების მომზადება მუზეუმის სამეცნიერო კრებულის “რუსთავი V” გამოსაცემად.

14. სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელთა მონაწილეობით მომზადდა 100 არტეფაქტის სამეცნიერო პასპორტი, მოხდა მათი გაციფრულება.

3. საექსპოზიციო საქმიანობა

I. 2019 წელს მუზეუმი მოემსახურა **294 ვიზიტორს** (ვიზიტორთა რაოდენობის მკვეთრი შემცირება გამოიწვია კორონავირუსის გამო მთელი წლის განმავლობაში გამოცხადებულმა შეზღუდვებმა).

იგივე ვითარების გამო ვერ განხორციელდა საგამოფენო განყოფილების მიერ მუზეუმში 2020 დაგეგმილი გამოფენები და ღონისძიებები. სულ საანგარიში წელს მოხერხდა **1** გამოფენა და **4** ღონისძიება-აქციის მოწყობა:

1. **15 ივლისი** მუზეუმის გარე სივრცეში გაიმართა ფოტოკონკურსი „განათლება“ არაფორმალური განათლებისა და მედიაგავითარების ცენტრის - **Herald – heraldi** ჩართულობით. პროექტი მოეწყო „სამოქალაქო საზიგადოების განვითარების ინიციატივის“ ხელშეწყობით და დაფინანსდა ევროკავშირისა და კონდრატ ადნაუერის ფონდის (KAS) მიერ გამოყოფილი გრანტით.

2. 18-19 მაისს მუზეუმების საერთაშორისო დღეს - 18 მაისს მიეძღვნა ონლაინ ღონისძიება:

18 მაისს - ჩატარდა ონლაინ ექსკურსია მუზეუმში.

19 მაისს - ონლაინ კონკურს „იცი თუ არა რუსთავის ისტორია“.

14 ივნისს - მუზეუმის ღია სივრცეში მუზეუმის დირექტორის ნ. პაჭიკაშვილის კონსულტანტობით ტურისტული კომპანიის “ ტურიზმი და რეალობას“ მიერ ჩატარდა ტრენინგები რუსთაველი გიდებისა და მცირე მეწარმეებისათვის. ტრენინგები მიზნად ისახავდა რეგიონალური და ადგილობრივი ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობას. პროექტი დაფინანსდა საერთაშორისო გრანტით.

3. 14-15 ნოემბერს მუზეუმი ჩაერთო ევროსაბჭოს ეგიდით, მსოფლიო მუზეუმებში მიმდინარე ონლაინ აქციას "ღამე მუზეუმში".

14 ნოემბერი ჩატარდა:

19.00 სთ. - ონლაინ ვიქტორინა „რა ვიცით ძველი რუსთავის ისტორიის შესახებ“.

20. 00 სთ. - რუსთავის ციხე-სიმაგრეზე, 2020 წელს, შესწავლილი N5 სამურნეო ორმოს არტეფაქტები, ონლაინ საუბრები (პირველი ნაწილი).

15 ნოემბერი

19.00 სთ. - ონლაინ ექსკურსია მუზეუმში.

20.00 სთ. - „კუხეთის რუსთავის შავი აღსასრული“, გ. ლომთათიძის უცნობი ნოველა მუზეუმის არქივიდან, ონლაინ კითხვა.

16 ნოემბერი

20. 00 სთ. - თამარ ფეიქრიშვილის მოსწავლეთა ონლაინ გამოფენა.

მუზეუმის ფბ გვერდზე სისტემატიურად თავსდება ლექცია საუბრები, რუბლიკით „საქართველოს ისტორია“ და საინფორმაციო სიუჟეტების მსოფლიო მუზეუმების შესახებ.

სექტემბრის თვეში კაპიტალურად დასუფთავდა მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია – (ექსპონატები; ვიტრაჟები).

4. საგანმანათლებლო განყოფილების საქმიანობა

საანგარიშო წელს საგანმანათლებლო განყოფილებამ დოკ-ის თანამშრომლებთან ერთობლივად მოამზადა რამდენიმე ახალი საგანმანათლებლო პროგრამა:

1. qarTuli multiplikacia გამოფენა, რომელსაც Tan erTvis saganmanaTleblo programa;
2. ქართული ფული გამოფენა თანდართული საგანმანათლებლო პროგრამით.

II. ჩატარდა რამდენიმე გასვლითი საგანმანათლებლო ტურები:

1. საექსკურსიო ტური „რუსთავის ნაქალაქარი და ციხე-სიმაგრე“
2. საექსკურსიო ტური „მველი თბილისის უბნები“ (სხვადასხვა მარშრუტი)
3. „იუნკრების კვალდაკვალ“ (მოიცავს ტაბახმელა-კოჯორის საბრძოლო ადგილების მონახულებას, პარლამენტის შენობისა და ოკუპაციის მუზეუმის დათვალერებას).

5. სამეურნეო საქმიანობა

1. მერიის სუბსიდიით მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზებში დამონტაჟდა გაგრილება-გათბობის სისტემები.
2. სისტემატიურად ეწყობოდა მუზეუმის ფონდასაცავების დასუფთავება-მოწესრიგება, მუზეუმის შიდა და გარე განათებების მოწესრიგება, ეზოს დასუფთავება, კეთილოწყობა, ყვავილნარის მოვლა.

6. ფინანსური და სტატისტიკური ანგარიში ერთვის დანართად.

მუზეუმის დირექტორი

ნაზი პაჭიკაშვილი